

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
გენადი ბალანჩივაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ
2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად
განხორციელებული შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ-ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“-ს შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 ნოემბრის №48.482332422 ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, 2024 წლის დასაწყისისათვის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა 6 333 313.00 ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-3¹ პუნქტის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში

დღეის მდგომარეობით 44-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები, რის შედეგად, 2024 წლის დასაწყისისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2024 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა - 31 697 197.08 ლარი.

ა) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა 2024 წელს მუნიციპალიტეტებში, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები (საწყის ეტაპზე - სულ 12 პროექტი, აქედან 2023 წელს დაწყებული და 2024 წელს გარდამავალი 4 პროექტი, ხოლო 2024-2025 წლებში განსახორციელებელი 8 პროექტი). საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ივლისის №1060 განკარგულებით, 2024 წლის 14 აგვისტოს №1146 განკარგულებით და 2024 წლის 27 დეკემბრის №1884 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებაში, რომლითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები და ჯამურად მუნიციპალიტეტში განსახორციელებელმა პროექტების რაოდენობამ შეადგინა 18 პროექტი. აღნიშნული თვრამეტი პროექტიდან ოთხი მათგანი წარმოადგენს მრავალწლიან პროექტს, რომლებიც დაიწყო 2023 წელს და დასრულდა საკასოთი 2024 წელს, ასევე შვიდი პროექტი იყო მრავალწლიანი, თუმცა დაიწყო და დასრულდა საკასოთი 2024 წელს, ხოლო შვიდი მრავალწლიანი პროექტი დაიწყო 2024 წელს, მიმდინარეობს და მათი ნაწილი დასრულდება 2025 წელს, ხოლო ნაწილი - 2026 წელს). საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 დეკემბრის №1884 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ დაფინანსებაში შეტანილი ბოლო ცვლილების მიხედვით, პროექტების მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2024 წელს ასანაზღაურებელმა თანხებმა შეადგინა **11 565 549.00** ლარი, საიდანაც რ.გ.პ.ფ. - დან გამოყოფილი თანხა შეადგენს - **10 538 804.00** ლარი, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანამონაწილეობის თანხა - **1 026 745.00** ლარი.

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ იქნა შემდეგი პროექტები:

| № | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის ფარგლებში 2024 წელს ასანაზღაურებელი თანხები | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|--|--|---|--|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს "ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | 999 908,00 | 689 943,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |

| | | | | | |
|---|--|---------------------------------|--------------|--------------|---|
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-12, 13, 16, 20-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ცეკური“ ს/კ: 209442174 | 1 865 067,00 | 745 067,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი-ოფშკვიტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ცეკური“ ს/კ: 209442174 | 1 470 000,00 | 1 369 459,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატრიკეთში ბაზმანების, ლელაძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ცეკური“ ს/კ: 209442174 | 518 876,00 | 308 876,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია-მოწყობა | შპს „B&B“ ს/კ: 404390039 | 1 971 228.76 | 744 500,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2026 წელს. |
| 6 | სოფელ ახალ საყულიაში ბაღის გზის, ჭელიძეების გზის, მირზა ჩანქელიანის უბანში და სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 931 791,00 | 931 791,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 7 | სოფელ გეგუთში აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჰესის დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 543 615,00 | 1 543 615,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 8 | სოფელ ცხუნკურის ჯვრის უბნის, სოფელ ცხუნკური-ბესიაურის გზის, დედაღვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 474 547,00 | 1 474 547,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 9 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 716 085,00 | 716 085,00 | დასრულებულია საკასოთი |

| | | | | | |
|----|--|---------------------------------|--------------|------------|---|
| | რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | | | | |
| 10 | სოფელ ხომულში სახერხის უბანში, მე-5 ქუჩაზე და 27 ქუჩაზე, სოფელ ბანოჯაში №10, №17 და №7 ქუჩებზე, სოფელ გუმბრაში ბზიკაძეების უბნიდან სასაფლაოს მიმართულებით გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 603 111,00 | 603 111,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 11 | სოფელ ჩუნეში №2 ქუჩა (მედილეთამდე), №11 ქუჩა (ცენტრალური გზა), №12-31 ქუჩების გზის ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „გეკური“ ს/კ: 209442174 | 971 473,00 | 971 473,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 12 | სოფელ მეორე უბანში №3, №6 ქუჩის მეორე ჩიხში და პირველი ჩიხში, №8 ქუჩაზე მესამე ჩიხში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „გეკური“ ს/კ: 209442174 | 128 561,00 | 128 561,00 | დასრულებულია საკასოთი |
| 13 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 2 672 769,00 | 180 000,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში, აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 244 018,00 | 164 246,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |
| 15 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში (ძვ. საყულია) წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეებისა და კაშიას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 500 877,00 | 122 080,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |
| 16 | სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროში მანაგაძეების, მელქაძეების და ტურაბელიძეებს უბნებში, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების და ხელაიების უბნებში, სოფელ გუმათში | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 309 087,00 | 648 035,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |

| | | | | | |
|----|---|---------------------------------|----------------------|----------------------|---|
| | ავალიანების, დაჩების და ველას უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა | | | | |
| 17 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძეთვალომეების უბანში, სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანში და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 654 578,00 | 112 080,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |
| 18 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენ პუნქტში (ეკომიგრანტთა დასახლება) და ჭელიძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 013 682,00 | 112 080,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2024 წელს, დასრულდება საკასოთი - 2025 წელს. |
| | სულ : | | 21 589 273.76 | 11 565 549,00 | |

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) დაფინანსებით პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად 2023-2024 წლების განკარგულებებით განისაზღვრა **11 565 549,00** ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – **10 538 804.00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – **1 026 745.00** ლარი. ზემოთ ჩამოთვლილი თვრამეტი პროექტის ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა **21 589 273.76** ლარი, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023-2024-2025 წლების ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში.

ბ) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ჯამური თანხა - **704 000.00** ლარი):

| № | სოფელი | პროექტის დასახელება | საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა (ლარი) | შემსრულებელი ორგანიზაცია (შპს, ინდ.მეწარმე და სხვ.) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) |
|---|--------|---------------------|---|---|----------------------------------|
|---|--------|---------------------|---|---|----------------------------------|

| | | | | | |
|----|---|---|-----------|---|-----------|
| 1 | პატრიკეთი | სამისამართო აბრების მომზადებისა და მონტაჟის მომსახურების შესყიდვა | 20 000,00 | ი/მ „ბესიკი ერისთავი“ ს/კ: 60001127830 | 20 000,00 |
| 2 | ქვედა მესხეთი, მუხიანი, ნამოხვანი, გუბისწყალი | სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 37 000,00 | ი/მ „აკაკი რობაქიძე“ ს/კ: 53001014418 | 37 000,00 |
| 3 | ზედა და ქვედა ქვილიშორი, ცხუნკური, ჩუნეში, ყუმისთავი, მექვენა | სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით | 37 000,00 | ი/მ „აკაკი რობაქიძე“ ს/კ: 53001014418 | 37 000,00 |
| 4 | მალლაკი | ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები | 19 400,00 | შპს „სსკ-7“ ს/კ: 438736334 | 19 400,00 |
| 5 | ტყაჩირი | ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები | 19 100,00 | შპს „სსკ-7“ ს/კ: 438736334 | 29 100,00 |
| 6 | ფარცხანაყანევი (კოპიტნარის დევნილთა დასახლება) | სკვერის მოწყობის სამუშაოები | 18 800,00 | შპს „სსკ-7“ ს/კ: 438736334 | 38 800,00 |
| 7 | დერჩი | შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები | 28 950,00 | შპს „სანი“ ს/კ: 421279020 | 33 937,19 |
| 8 | ბანოჯა | თორნისწყაროზე სკვერის მოწყობის სამუშაოები | 19 100,00 | შპს „სანი“ ს/კ: 421279020 | 29 099,70 |
| 9 | საყულია, გეგუთი | სოფელ საყულიაში ამბულატორიის ეზოს შემოღობვისა და სოფელ გეგუთში კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები | 19 100,00 | შპს „სანი“ ს/კ: 421279020 | 29 098,32 |
| 10 | ზედა მესხეთი | მელაძეების უბანში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობის სამუშაოები | 19 100,00 | შპს „სანი“ ს/კ: 421279020 | 29 094,87 |
| 11 | პირველი წყალტუბო | სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები | 11 640,00 | შპს „სანი“ ს/კ: 421279020 | 11 640,00 |

| | | | | | |
|----|------------------------------------|---|-----------|---|-----------|
| 12 | ვანისჭალა, დღნორისა | სოფელ ვანისჭალაში და სოფელ დღნორისაში სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოსწორების სამუშაოები | 21 340,00 | შპს „როსტვერკი“ ს/კ: 421268050 | 21 340,00 |
| 13 | საჩხეურა, ლეხინდრისთავი | სოფელ საჩხეურაში და სოფელ ლეხინდრისთავში სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოსწორების სამუშაოები | 19 400,00 | შპს „როსტვერკი“ ს/კ: 421268050 | 19 400,00 |
| 14 | ჩუნეში, გეგუთი, ჟონეთი, გვიშტიბი | სოფელ ჩუნეშში არსებული წყაროს რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში საერთო საცხოვრებელი ბინის ეზოს შემოღობვის, სოფელ ჟონეთში ჯიშტერას წყაროს შემოღობვის და სოფელ გვიშტიბში სასაფლაოს ღობის მოწყობის სამუშაოები | 32 889,46 | ი/მ „გიორგი მურადოვი“ ს/კ: 53001003837 | 38 798,23 |
| 15 | ჩუნეში, ოფშკვითი | სოფელ ჩუნეშში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები და სოფელ ოფშკვითში გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 28 800,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 38 800,00 |
| 16 | ქვიტირი, ნოლა | გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 28 074,15 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 38 800,00 |
| 17 | სოფ. წყალტუბო, მეორე უბანი | სოფელ წყალტუბოში ადმინისტრაციულ შენობასთან და სოფელ წყალტუბოში მეორე უბნის კლუბის ეზოში ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები | 19 100,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 29 100,00 |
| 18 | ქვედა მესხეთი, მიწაწითელი, უკანეთი | გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 39 770,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 39 770,00 |

| | | | | | |
|----|---|---|------------|---------------------------------------|------------|
| 19 | საყულია, გუმათი | გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 24 770,00 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 39 770,00 |
| 20 | მუხიანი, ოფურჩხეთი | გარე განათების მოწყობის სამუშაოები | 21 033,49 | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 26 190,00 |
| 21 | თერნალი, ჭამლეთი, ბენთქოულა, ჟონეთი, ნამოხვანი, ჯიმასტარო, ზედა (გალმა) ჩუნეში, ქვილიშორი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო შპა ბეტონის შესყიდვა | 86 000,00 | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 101 000,00 |
| 22 | გუმბრა, ხომული, რიონი, ზარათი, მეჩხერი, სორმონი, ქოლევი, ცხუნკური, ყუმისთავი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო შპა ბეტონის შესყიდვა | 124 000,00 | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 150 000,00 |
| 23 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლები | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება | 15 750,00 | შპს „ვაზნარი“ ს/კ: 421272107 | 15 840,00 |

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა - **872 978.31** ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების წილი - **702 937.10** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **169 861.21** ლარი.

გ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის №1025 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები (მთავრობის განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა - **458 159.00** ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - **646 831.56** ლარი):

| № | პროექტის (იდეის) დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|--|----------------------------------|---|
| 1 | „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში და სოფელ ზედა მესხეთში სპორტული მოედნების, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხუთ ლოკაციაზე მგზავრთა მოსაცდელეების მოწყობის სამუშაოები | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 245 000,00 | პროექტის განხორციელება დაიწყო და დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს. |
| 2 | „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ სოფელ დღნორისის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების და ჩამოშლილი ფერდის მოჭრის სამუშაოების, სოფელ მექვენის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოების, სოფელ ოფურჩხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოებისა და სოფელ რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზის მოხვნა-მოსწორების სამუშაოები | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 250 000,00 | პროექტის განხორციელება დაიწყო და დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს. |

| | | | | |
|-------------------|---|---|---------------------|--|
| 3 | <p>„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში რიონსა და ნოღაში ხიდ-ბოგირების მოწყობის, სოფელ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩის მე-7 და მე-8 შესახვევებში, ქალაქ წყალტუბოში, რუსთავისა და ბესიკის ქუჩებზე, სოფელ გვიშტიბში კირთაძეების ქუჩის გაგრძელებაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმენდის, დაღრმავებისა და გაფართოების სამუშაოები</p> | <p>შპს „როსტვერკი“ ს/კ: 421268050</p> | <p>609 990,56</p> | <p>პროექტის განხორციელება დაიწყო 2024 წელს და დასრულდება საკასოთი - 2025 წელს.</p> |
| სულ ჯამი : | | | <p>1 104 990,56</p> | |

დ) „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული დაფინანსების (ჯამში 400 000,00 ლარი) ფარგლებში, 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები (სახელშეკრულებო ღირებულებებიდან გრანტით გამოყოფილი თანხა - 386 500.00 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი - 1493365.00 ლარი):

| № | პროექტის (იდეის) დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|---|----------------------------------|---|
| 1 | <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ ქვიტირში, გეგუთში (ვარციხჰესის დასახლება) და გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) სკვერების მოწყობის, ასევე სოფელ გუმბრაში წისქვილთან არსებული წყაროს შემოღობვისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის, სოფელ საყულიაში ფანჩატურის მოწყობისა და ქალაქ წყალტუბოში ბალანჩივაძის ქუჩაზე ფანჩატურისა და ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები</p> | <p>შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710</p> | <p>245 814,00</p> | <p>პროექტის განხორციელება დაიწყო - 2024 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2025 წელს.</p> |

| | | | | |
|---|--|---------------------------------------|--------------|---|
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ გუმბრაში, ქვილიშორში, ხომულში და ქვიტირში შიდა გზების ბეტონის საფარით მოწობის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში გიგატაძეების და აგიაშვილების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწობის სამუშაოები | შპს „გი-ან 2011“ ს/კ: 412676322 | 1 133 311,00 | პროექტის განხორციელება დაიწყო და დასრულებულია საკასოთი - 2024 წელს. |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, ფარცხანაყანევში, ცხუნკურში და მალლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) ახალი სპორტული მოედნების მოწობის, ასევე ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩის 1-ელ ჩიხში, შანიძის ქუჩაზე და დედა-ენის ქუჩაზე მე-2 ჩიხში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 500 740,00 | მრავალწლიანი შესყიდვა: პროექტის განხორციელება დაიწყო - 2024 წელს, სამუშაოები დასრულებულია საკასოთი - 2025 წელს. |
| | სულ ჯამი : | | 1 879 865,00 | |

ე) მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროექტები.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 აპრილის №550 განკარგულებით, 2023-2024 წლების მრავალწლიანი პროექტის განსახორციელებლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 2024 წლის დაფინანსების ფარგლებში გამოეყო 1 196 883 ლარი:

| N | პროექტის დასახელება | შემსრულებული ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|--|--|----------------------------------|--|
| 1 | 2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ ს/კ: 412716226 | 1 996 775,00 | პროექტი არის მრავალწლიანი. დაიწყო - 2023 წელს და დასრულდა საკასოთი - 2024 წელს. 2023 წლის დაფინანსების წილი: სახელმწიფო ბიუჯეტი - 500 000, ადგილობრივი ბიუჯეტი - 26 372 ლარი; 2024 წლის დაფინანსების წილი : სახელმწიფო ბიუჯეტი - 1 196 883 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი - 273 520 ლარი. |

ვ) საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის №56 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი, სახელშეკრულებო ღირებულებით - 446518.17 ლარი (CON230000452 კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, დადებულია 2024 წლის 09 იანვრის №11 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მიმწოდებელი - შპს „სატრანსპორტო გაერთიანება“. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული სატრანსპორტო მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 432411.21 ლარი).

ზ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პროექტები.

2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის 5 პროექტზე მიმდინარეობს დასრულების სამუშაოები, ხოლო 2 პროექტი არის მრავალწლიანი და ხორციელდება 2023-2024 წლების დაფინანსების ფარგლებში):

| | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა | ადგილობრივი დასაქმებული |
|---|--|---|----------------------------------|-------------------------------|-------------------------|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 250 000.00 | დასრულებულია | 11 |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 239 990.40 | დასრულებულია | 6 |
| 3 | ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა N4 საცხოვრებელი კორპუსის I და III სადარბაზოების დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | ი/მ "კირილე ჯახუა" ს/კ: 29001003108 | 42 989.68 | დასრულებულია | 6 |
| 4 | ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩა N5 საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | ი/მ "ირაკლი გაბრიჭიძე" ს/კ: 60001079062 | 14 171.39 | დასრულებულია | 4 |

| | | | | | |
|----|---|--|--------------|--------------|----|
| 5 | ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N10 საცხოვრებელი კორპუსისა და კოლხეთის ქუჩა N19 საცხოვრებელი კორპუსის I სადარბაზოს დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "ქარდა 701" ს/კ: 415113040 | 58 680.66 | დასრულებულია | 7 |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში გრიშაშვილის ქუჩაზე, სოფელ გვიშტიბში ჩავჩიძეების უბანში, სოფელ გუმბრაში ყოფილი უნივერსიტეტის უკან, მელაძეების და სინაურიძის უბნებში, ასევე სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, სოფელ მუხიანში ქვაჩაკიძეების უბანში, სოფელ ქვიტირში მე-6 ქუჩის მე-17 ჩიხში, მე-10 და მე-15 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ასევე სოფელ ქვიტირში პირველი ქუჩის მე-11 ჩიხში გზის ბეტონის საფარით მოწყობა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 1 537 134.00 | დასრულებულია | 18 |
| 7 | ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის და დედაენის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს "იურო" ს/კ: 444961016 | 131 089.74 | დასრულებულია | 9 |
| 8 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 200 000.00 | დასრულებულია | 12 |
| 9 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები. | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 199 999.77 | დასრულებულია | 8 |
| 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში ბიბლიოთეკის ყოფილი შენობის და ქალაქ წყალტუბოში არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა "ოცნება"-ს შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 174 095.99 | დასრულებულია | 13 |

| | | | | | |
|----|---|--|------------|--------------|----|
| 11 | ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა N1 საცხოვრებელი კორპუსის I და II სადარბაზოების, თამარ მეფის ქუჩა N17 საცხოვრებელი კორპუსის II სადარბაზოსა და დედა ენის ქუჩა N1 საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | ი/მ "კირილე ჯახუა" ს/კ: 29001003108 | 38 627.32 | დასრულებულია | 6 |
| 12 | ქალაქ წყალტუბოში შანიძის N9 საერთო საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს "ბაჩი-2002" ს/კ: 438736646 | 15 887.02 | დასრულებულია | 8 |
| 13 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების შუა ნაწილების, დაბოლოებებისა და შესაბამისი რაოდენობის სამაგრების (დუბელი) შესყიდვა | შპს "ანსარ" ს/კ: 405095506 | 13 252.00 | დასრულებულია | 4 |
| 14 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, სოფელ გუბისწყალში, სოფელ მაღლაკში მე-10 ქუჩაზე, ასევე ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის მე-2 ჩიხში და ყაზბეგის ქუჩის მე-6 ჩიხში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს "გუნგლი" ს/კ: 225068271 | 97 299.89 | დასრულებულია | 13 |
| 15 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში (კირთაძეების უბანში), სოფელ თერნალში, სოფელ ტყაჩირში (ლანჩავების, ჩხოზაძეებისა და ღვინიაძეების უბნებში) და ქალაქ წყალტუბოში, ყაზბეგისა და ევდოშვილის ქუჩებზე არსებული სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის მე-3 შესახვევში N3 ბინის მიმდებარედ ახალი სადრენაჟო სისტემისა და სოფელ გვიშტიბში თამარ მეფის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 399 998.26 | დასრულებულია | 16 |

| | | | | | |
|----|---|---|------------|--------------|----|
| 16 | ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბძის ქუჩის N3 საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "TU-KA" ს/კ: 412688435 | 49 327.77 | დასრულებულია | 9 |
| 17 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის კოპიტნარის დასახლებაში №9 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის კოპიტნარის დასახლებაში №14 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების, ასევე ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის 15-ე დასახლების №10 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები | შპს "იდეალმშენი" ს/კ: 415105380 | 99 574.44 | დასრულებულია | 14 |
| 18 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონში (ვახტანგაძეების უბანში), გუმბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალტუბოში პირველი ქუჩის მე-4 და მე-5 ჩიხებში და ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩაზე გზების მოწყობა ბეტონის საფარით | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 305 800.00 | დასრულებულია | 12 |
| 19 | ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბიუსტისა და კვარცხლბეკის მოწყობის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები | ი/მ "ირაკლი ჟვანია" ს/კ: 01018003522 | 78 190.00 | დასრულებულია | 3 |
| 20 | ქალაქ წყალტუბოში, სამაკაშვილის ქუჩა N3 და დედაენის ქუჩა N24ა (I სადარბაზო) საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს "ოგი" ს/კ: 434065307 | 36 776.96 | დასრულებულია | 4 |

| | | | | | |
|----|--|-------------------------------------|------------|--------------|----|
| 21 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 199 999.77 | დასრულებულია | 8 |
| 22 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის 44-ე ქუჩის N13 და N17 ბინების გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები | შპს "ჯეოტექნიკსი" ს/კ: 412748898 | 70 234.48 | დასრულებულია | 4 |
| 23 | სიჩქარის სექციური ვიდუო კონტროლის აღმნიშვნელი 13 ერთეული აბრის (ზომა: 125X90) შესყიდვა თამდევი მონტაჟის მომსახურებით, ასევე ტონაჟის შეზღუდვის აღმნიშვნელი D-60 2 ერთეული აბრის (5 ტონამდე შეზღუდვა) შესყიდვა ბომბთან ერთად, თანმდევი მონტაჟის მომსახურებით | შპს "გზა 2020" ს/კ: 430040001 | 4 999.95 | დასრულებულია | 4 |
| 24 | ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის N9 ბინის სადარბაზოების (I-II სადარბაზო), დედა ენის №15 საერთო საცხოვრებელი ბინის I სადარბაზოს, დედა ენის N34 ბინის სადარბაზოების (I-II სადარბაზო), დედა ენის მე-2 ჩიხის №2 საერთო საცხოვრებელი ბინის I და II სადარბაზოების, 9 აპრილის I ჩიხის N1 ბინის სადარბაზოს (I სადარბაზო), 9 აპრილის N9 ბინის სადარბაზოების (III-IV სადარბაზო) და გურამიშვილის N1 ბინის სადარბაზოს (I სადარბაზო) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 140 696.10 | მიმდინარეობს | 14 |
| 25 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემავალი შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 250 000.00 | დასრულებულია | 16 |
| 26 | ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე №7 ბინასთან სკვერის მოწყობის სამუშაოები, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვისა და | შპს სსკ-7 ს/კ: 438736334 | 75 555.00 | მიმდინარეობს | 9 |

| | | | | | |
|----|---|--|--------------|--------------|----|
| | კეთილმოწყობის სამუშაოები | | | | |
| 27 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: გუმათში, გეგუთში (ვარციხეჰესის დასახლებაში), საყულიაში, ხომულში (27-ე ქუჩაზე), გუმბრაში, მაღლაკში (მე-6 და მე-9 ქუჩებზე), სოფელ თერნალში, ასევე ქალაქ წყალტუბოში ნინოშვილის ქუჩაზე გარეგანათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს "გუნგლი" ს/კ: 225068271 | 45 299.18 | დასრულებულია | 8 |
| 28 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოების შესყიდვა | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 199 999.77 | დასრულებულია | 8 |
| 29 | 2024-2025 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ვარციხეჰესის დასახლებაში, სოფელ მაღლაკში ჭეიშვილების უბანში, სოფელ მუხიანში მემპარიაშვილების უბანში, სოფელ ოფშკვითში დეისაძეების უბანში და სოფელ უკანეთში გვანცელაძეების უბანში გზების ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | შპს „მიმდემი“ ს/კ: 412679061 | 2 272 218.00 | დასრულებულია | 22 |
| 30 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა | შპს "დელტა კონსალტინგი" ს/კ: 401992162 | 12 000.00 | დასრულებულია | 3 |
| 31 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბროწეულაში №1 ბინის სახურავის, ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის №34 ბინის III სადარბაზოს სახურავის და თამარ მეფის ქუჩის №17 ბინის IV სადარბაზოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები | ი/მ "კირილე ჯახუა" ს/კ: 29001003108 | 94 796.29 | დასრულებულია | 8 |
| 32 | "სამოქალაქო ბიუჯეტის" პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების გათვალისწინებით, ქალაქ წყალტუბოში თბილისის ქუჩის | შპს „მიკო ბილდინგი“ ს/კ: 412746710 | 107 247.99 | დასრულებულია | 11 |

| | | | | | |
|----|---|-------------------------------------|------------|--------------|----|
| | N3 ბინის მიმდებარედ და კოლხეთის ქუჩაზე N10 ბინის მიმდებარედ სკვერების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა | | | | |
| 33 | ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩის №10 საერთო საცხოვრებელი ბინის III სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, თბილისის ქუჩის №5 საერთო საცხოვრებელი ბინის IV სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, გურამიშვილის ქუჩის №2 საერთო საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს რეაბილიტაციის სამუშაოების, კოლხეთის ქუჩის №10 ბინის II და IV სადარბაზოების რეაბილიტაციის სამუშაოების და შანიძის ქუჩის N4a საერთო საცხოვრებელი ბინის I, II, III და IV სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 144 376.81 | მიმდინარეობს | 15 |
| 34 | ქალაქ წყალტუბოში, თამარ-მეფის ქუჩის №16 საერთო საცხოვრებელი ბინის მე-3 და მე-4 სადარბაზოების სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების, თამარ-მეფის ქუჩის №16 საერთო საცხოვრებელი ბინის მესამე სადარბაზოს პარაპეტების რეაბილიტაციის სამუშაოების, თაყაიშვილის ქუჩის №1a საერთო საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე კოლხეთის ქუჩის მე-2 შესახვევის №27 საერთო საცხოვრებელი ბინის ფასადის და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 63 442.28 | დასრულებულია | 9 |
| 35 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში 27-ე ქუჩაზე და სოფელ ხომულში მე-13 ჩიხში სასმელი წყლის ქსელის | შპს "ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | 119 501.48 | დასრულებულია | 12 |

| | | | | | |
|----|--|---|------------|--------------|---|
| | მოწყობის სამუშაოები | | | | |
| 36 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მალლაკში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები | შპს "ენდისი" ს/კ: 425055940 | 7 030.00 | დასრულებულია | 4 |
| 37 | სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები | შპს "ჯ და ჯ" ს/კ: 221269080 | 30 000.00 | მიმდინარეობს | 5 |
| 38 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე 6 (ექვსი) ერთეული ვიდეო სამთვალყურეო კამერის შესყიდვა თანმდევი მონტაჟის მომსახურებით. | შპს "დელტა კონსალტინგი" ს/კ: 401992162 | 8 123.00 | დასრულებულია | 3 |
| 39 | ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩის №4 საერთო საცხოვრებელი ბინის მესამე სადარბაზოს საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის/მართვის სამუშაოები | შპს "ლომსია 2023" ს/კ: 424086134 | 3 587.50 | დასრულებულია | 3 |
| 40 | ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის პირველ ჩიხში მდებარე №3 საერთო საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაციისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, ვარციხჰესის დასახლებაში მდებარე N1 ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოების, ასევე სოფელ მალლაკში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის კიბისა და შესასვლელში ბეტონის ფილის მოწყობის, სოფელ თერნალში მე-10 ქუჩის N26 და N28 ბინების სადარბაზოებში დაზიანებული ხის კიბეების რეაბილიტაციისა და ქალაქ წყალტუბოში, დედა-ენის ქუჩის I ჩიხის N4 ბინის 1-ლი და მე-2 სადარბაზოების | ი/მ "კირილე ჯახუა" ს/კ: 29001003108 | 108 656.83 | მიმდინარეობს | 6 |

| | | | | | |
|----|---|--|---------------------|--------------|---|
| | შეკეთების სამუშაოები | | | | |
| 41 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე (ავტობანი) არსებული სექციური სიჩქარის კონტროლისა და ზოგადი ხედვის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეკეთების მომსახურების შესყიდვა და სიგნალის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა | შპს "დელტა კონსალტინგი" ს/კ: 401992162 | 121 250.00 | მიმდინარეობს | 5 |
| 42 | ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩა №3 (I სადარბაზო) საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 2 517.00 | დასრულებულია | 3 |
| 43 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მომსახურების შესყიდვა | შპს „ასა მოტორსი“ ს/კ: 412743731 | 199 999.77 | დასრულებულია | 8 |
| | სულ ჯამი : | | 8 264 416,49 | | |

თ) 2024 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო პროექტები:

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №271 განკარგულებით და 2024 წლის 22 ოქტომბრის №1514 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში, რითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებ აგანისაზღვრა - არაუმეტეს

780 000,00 ლარის ოდენობით და საბოლოოდ დამტკიცებული იქნა 2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩასატარებელი პროექტები (სახელშეკრულებო ღირებულებების ჯამი - 779 840.17 ლარი).

| N | პროექტების დასახელება | შემსრულებელი ორგანიზაცია (მიმწოდებელი) | სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი) | პროექტის მიმდინარეობის აღწერა |
|---|---|--|----------------------------------|---|
| 1 | 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და მათი სახურავების შეკეთებისთვის საჭირო გადახურვის მასალების (მოთუთიებული პროფნასტილი 0.50 მმ (+-0.04 მმ)) შესყიდვა | შპს "ჯი არ სი" ს/კ: 205017578 | 34 750.00 | დასრულებულია საკასოთი 34 750.00 |
| 2 | 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისთვის საჭირო ხის მასალის (კოჭი, ფიცარი) შესყიდვა | შპს "ქუთე" ს/კ: 421275952 | 25 500.00 | დასრულებულია საკასოთი 25 500.00 |
| 3 | 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, დედა ენის ქუჩა N3, დედა ენის ქუჩის მე-5 ჩიხი ბინა N2, გურამიშვილის ქუჩა N6, გურამიშვილის ქუჩა N6ა, ჭავჭავაძის ქუჩა N10, ჭავჭავაძის ქუჩა N11. | შპს "მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 149177.50 | 147775.88 ლარიდან ჩარიცხულია 144081.47 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%) |
| 4 | 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა N6 და ბესიკის ქუჩა N8. | შპს "მიკო ბილდინგი" ს/კ: 412746710 | 65 899.98 | 65725.07 ლარიდან ჩარიცხულია 64081.94 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%) |

| | | | | |
|---|--|--|-------------------|--|
| 5 | <p>2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, თბილისის ქუჩის პირველი ჩიხი ბინა N1 და გ. ტაბიძის ქუჩა N3ა, ასევე სოფელ თერნალის მე-10 ქუჩა N30 და სოფელ მუხიანის სამხედრო დასახლების ბინა N2.</p> | <p>შპს "სანი" ს/კ: 421279020</p> | <p>120 162.29</p> | <p>117426.05 ლარიდან ჩარიცხულია 114490.39 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)</p> |
| 6 | <p>2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩის მეორე ჩიხი ბინა N10, 9 აპრილის ქუჩა N3, 9 აპრილის ქუჩა N5.</p> | <p>შპს "სსკ-7" ს/კ: 438736334</p> | <p>125 582.03</p> | <p>120152.30 ლარიდან ჩარიცხულია 117148.49 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)</p> |
| 7 | <p>2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: დედა ენის ქუჩა N24, დედა-ენის ქუჩა N15.</p> | <p>შპს "ვიქტორია +" ს/კ: 421277077</p> | <p>23 791.42</p> | <p>23437.63 ლარიდან ჩარიცხულია 22851.68 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%)</p> |
| 8 | <p>2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე 24 კერძო საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების შეკეთებისთვის საჭირო გადასახური მასალის (მოთუთიებული პროფნასტილი 0.50 მმ (+-0.04 მმ) - 2460 კვ.მ (ტრანსპორტირების მომსახურების ჩათვლით)) შესყიდვა</p> | <p>შპს "ჯი არ სი" ს/კ: 205017578</p> | <p>31 980.00</p> | <p>დასრულებულია საკასოთი 31 980.00 ლარი</p> |
| 9 | <p>2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 24 კერძო საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების შეკეთებისთვის საჭირო გადახურვის მასალის (კოჭი, ფიცარი - 20 კუბური მეტრი (ტრანსპორტირების</p> | <p>შპს "ქუთე" ს/კ: 421275952</p> | <p>17 000.00</p> | <p>დასრულებულია საკასოთი 17 000.00 ლარი</p> |

| | | | | |
|----|--|------------------------------|-------------------|---|
| | მომსახურების ჩათვლით)) შესყიდვა | | | |
| 10 | 2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, თბილისის ქუჩა N1 ბინა, დედა-ენის ქუჩა N5 ბინა, 9 აპრილის ქუჩა I შესახვევი N1 ბინა, კოსტავას ქუჩა N4 ბინა და ბესიკის ქუჩა N5 ბინა | შპს "სანი" ს/კ: 421279020 | 185 996.95 | 185996.95 ლარიდან ჩარიცხულია 181347.02 ლარი (დაკავებულია საგარანტიო თანხა 2.5%) |
| | სულ : | | 779 840.17 | |

2024 წლის განმავლობაში მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული ყველა სახის **257** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა **32 021 934.87** ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში (მათ შორის ორეტაპიან ელექტრონულ ტენდერშიც) გამარჯვებულ მიმწოდებლებთან 2024 წლის განმავლობაში დადებული 77 ხელშეკრულების საერთო (ჯამური) ღირებულებაა - **28402389.28** ლარი, კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად დადებული 27 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **735206.69** ლარი, კონკურსის შედეგად დადებული 1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **4 999.66** ლარი და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული 152 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - **2879339.24** ლარი (იხ. დანართი - 2024 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების „Excel“-ის ცხრილი).

2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია **85** ელექტრონული შესყიდვის პროცედურა, მათ შორის **83** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT), **1** - კონკურსი (CNT) და **1** - ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი (MEP). აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა უმეტესწილად შეადგენს 2 ან 3 პრეტენდენტს, რაც კონკურენტული გარემოს მაჩვენებელია.

2024 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია **259** საკითხი, **85** ელექტრონულ შესყიდვაზე განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო/საკონკურსო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის/კონკურსის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია

(ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx)) ასლები: ხელწერილები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტები, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მათში ცვლილების შეტანის თაობაზე მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებები და ხელშეკრულებების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ინსპექტირების ანგარიშები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, ბაზრის კვლევის, პოტენციური მომწოდებლების მოძიების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

